

ქართული და მეგრული დეტერმინანტული ფრაზის X' სქემა და პროექცია

შესავალი. წარმომშობი გრამატიკა დღესდღეობით ერთ-ერთი წამყვანი სინტაქსური თეორიაა, რომელიც 1950-იანი წლებიდან დღემდე მუშავდება და ვითარდება. აღნიშნული თეორიის მიზანია, ყველა ენისათვის საყოველთაო, საზიარო, საფუძველმდებარე სტრუქტურის დადგენა. ეს არის ბუნებრივი ენის დამუშავების მექანიზმი, რომელიც ენის მოდელირებას ახდენს ფორმალური გრამატიკული წესების საშუალებით, კომპიუტერული პროგრამების მსგავსად.


საყოველთაო და ფორმალური სინტაქსური მოდელის მორგება და შემუშავება ქართული და მეგრული ენებისათვის ენის ტექნოლოგიური წინსვლის ხელშემწყობია. ეს მნიშვნელოვანია ისეთი ენობრივი ტექნოლოგიების დასახვეწად, როგორცაა ენის სინტაქსური ანალიზატორი, ენის კორპუსი, მთარგმნელობითი ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი, რობოტიკა და ა.შ. იმისათვის რომ თანამედროვე გლობალური განვითარების ეპოქაში ისეთმა მწირრესურსიანმა ენებმა, როგორც ქართული და მეგრულია, თავი გადაირჩინონ, აუცილებელია ფეხის აწყობა ლინგვისტური ტექნოლოგიური წინსვლისათვის. წარმომშობი გრამატიკის პროცედურული მეთოდების საშუალებით ქართული ენის მასალა მხოლოდ მცირედიტაა დამუშავებული, ხოლო დანარჩენი ქართველური ენების, მათ შორის მეგრულის, მასალა გაუანალიზებელია.

თეორიული მიმოხილვა და მიზნები. ჩვენი მოხსენება ემყარება ჩვენსავე კვლევას „ქართული და მეგრული ფრაზის X' სქემა და პროექცია“, რომელშიც ენობრივი სტრუქტურების ფორმალიზებული საყოველთაო თეორიის ერთ-ერთი მოდელი მორგებულია ქართული და მეგრული ენის მასალზე. ჩვენი ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიური ანალიზის საფუძველია გენერაციული გრამატიკის ფარგლებში შემუშავებული პრინციპებისა და პარამეტრების მიდგომა, რომელშიც პროცედურულადაა გაანალიზებული X' სქემისა და პროექციის მეთოდოლოგიური მხარეები. X' თეორია პირველად შეიმუშავა ნოამ ჩომსკიმ, დეტერმინანტული ფრაზის ჰიპოთეზა კი სტივენ ებნიმ შეიმუშავა. ეს ჰიპოთეზა თავდაპირველად საკამათოდ მიიჩნეოდა, თუმცა თანამედროვე წარმომშობ თეორიაში უკვე ფართოდაა მიღებული და დავის საგანი აღარაა. სწორედ ამ მიდგომას ემყარება ჩვენი გამოკვლევა, რომლის ერთი ნაწილის მოკლე შეჯამებასაც ქვემოთ წარმოგიდგენთ. ნაშრომის ფარგლებში შევაჯერეთ X' თეორიის პრინციპები და ტრადიციულ გრამატიკაში დამუშავებულ შესაბამისი საკითხები. ამის საშუალებით კი გამოვარკვიეთ, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ქართულსა და მეგრულში დეტერმინანტად – რას უნდა მიენიჭოს დეტერმინანტის სინტაქსური სტატუსი; დავადგინეთ დეტერმინანტული ფრაზის შემადგენელთა სინტაქსური ფუნქციები, პოზიციები და პროექციათა დონეები; ავაგეთ სინტაქსური ხეები; გამოვარკვიეთ, რომ X' სქემის დეტერმინანტული ფრაზის ფორმალური წესები ესადაგება ქართულისა და მეგრულის ენობრივ მასალას და, შესაბამისად, შევიმუშავეთ ქართული და მეგრული ენის დეტერმინანტული ფრაზის X' სქემა, მათი ფორმალური წესები. ამისათვის, გარდა


საზღვარგარეთული ლიტერატურისა, ვიხელმძღვანელებთ ლეო კვაჭაძის მონოგრაფიით „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“ (1966). რამდენადაც ქართული მდიდარი მორფოლოგიის ენაა, მორფოლოგია და სინტაქსი კი მჭიდროდაა ურთიერთგადაჯაჭვული, ასევე დავეყრდენით აკაკი შანიძის ფუნდამენტურ ნაშრომს „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“ [4].

თეორიული ჩარჩო და მეთოდოლოგია .როგორც აღვნიშნეთ, წინადადების სტრუქტურის შესწავლის ჩვენ მიერ შერჩეული მიდგომაა გენერაციული გრამატიკა, რომელიც ეფუძნება დესკრიფციულ და ფორმალურ წესებს. აღნიშნული მიდგომის თანახმად, წინადადებები იარაღიქიულადაა ორგანიზებული შემადგენელ სტრუქტურებად. შემადგენელი არის სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომლებიც ფუნქციონირებს, როგორც ცალკეული ერთეული. შემადგენელთა სტრუქტურები წარმოდგენილია ხეების ან კუთხოვანი ფრჩხილების გამოყენებით, რაც მათი გაფორმების საშუალებებია. წინადადებისა თუ ფრაზების სტრუქტურათა გენერირებისათვის კი შემუშავებულია ფრაზის წყობის ფორმალურ წესთა წყება, რაც ფორმალური ჰიპოთეზებია შემადგენელთა წარმოსადგენად და მათ საწარმოებლად [5:89-94]. X' თეორიის ერთ-ერთი მთავარი დებულებაა, რომ ფრაზა არის ენდოცენტრული, ე.ი. ემყარება მის მეთაურ სიტყვას [7:41]. ეს უკანასკნელი არის სიტყვა, რომელიც ფრაზას ანიჭებს კატეგორიას. პროექცია კი ელემენტთა წყებაა, რომელიც ასოცირდება მეთაურ სიტყვასთან და მისივე კატეგორიის მქონეა (D, D', D', D' ... DP) [5:186].


X' თეორიის წესების მიხედვით, ფრაზის თითოეული კვანძი ორ ქვეკვანძს ქმნის (1) და გამოიყოფა პროექციის სამი დონე: ლექსიკური პროექცია (X), შუალედური პროექცია (X') და ფრაზული (მაქსიმალური) პროექცია (XP). შუალედური პროექციები წარმოადგენენ ფრაზის შუალედურ შემადგენლებს; შემადგენელთა სტრუქტურაში ავლენენ შიდა სტრუქტურებს, შემადგენელთა შუალედურ ელემენტებს, ანუ პროექციებს (N', V', A' და P').



წარმომშობი გრამატიკის ერთ-ერთი მთავარი დებულებაა, რომ ფრაზის წყობის წესები ერთმანეთს მოიცავს. მაგალითად, დეტერმინანტული ფრაზა მოიცავს სახელურ ფრაზას: [DP [D' D NP]]. შესაბამისად, ამ ორი დებულების საფუძველზე ვიღებთ ელემენტარული ხის შემდეგ სტრუქტურას. DP ჰიპოთეზის მთავარი მტკიცება კი ისაა, რომ დეტერმინანტი მეთაური ელემენტია (D), რომელიც მისივე სინტაქსური შემადგენლებს აპროეცირებს (D' D'... DP) (2) (Dikken 2013, 46). დეტერმინანტი დეტერმინანტული ფრაზის მეთაური ელემენტია, ხოლო, მაგალითად, სახელი – სახელური ფრაზისა. სახელური ფრაზა კი დეტერმინანტული ფრაზის ნაწილია.



სახელური და დეტერმინანტული ფრაზების ელემენტარული ხეები:



საანალიზო მასალა. ქართული ენის გასაანალიზებლად გამოვიყენეთ „ქართული ენის ეროვნული კორპუსისა“ (GNC) და „ქართული ენის კორპუსის“ GLC ენობრივ მასალა. ქართულის კორპუსული მაგალითები ვთარგმნეთ მეგრულად, ან ავაგეთ იმავე შედგენილობის წინადადებები მათი შემდგომი ანალიზის მიზნით. თარგმანმა მოგვცა შესაძლებლობა დაგვედგინა, რამდენად საზიარო წყობა აქვს მეგრულისა და ქართულის დეტერმინანტულ ფრაზებს. მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მეგრულისა და ქართულის დეტერმინანტულ ფრაზებს საზიარო სინტაქსური სტრუქტურა და შემადგენლობა აქვთ. ქართულისაგან განსხვავებული თავისებურებები კი ცალკე კვლევის საგანია. ჩვენი საანალიზო მაგალითები შედგება ზედსართავთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელებისა და მათ მიერ განსაზღვრული არსებითი სახელებისაგან, რომელთა შეკავშირებაც, ჩვენი ვარაუდით, ქმნის დეტერმინანტულ ფრაზას.

ჩვენი კვლევის ფარგლებში ვიხელმძღვანელებთ დეტერმინანტთა კატეგორიის დადგენის ზემოაღწერილი X-შტრიხ თეორიის ფორმალურ წესთა პრინციპებით და შემადგენელთა მახასიათებლებით. ამასთან, ქართულ ტრადიციულ გრამატიკაში სიღრმისეულად და მწყობრად დამუშავებული ისეთი საკითხებით, როგორცაა სახელთა ატრიბუტული და სუბსტანტიური განსაზღვრებები, რამდენიმე განსაზღვრება ერთ საზღვრულთან, სიტყვათა რიგი და სხვ. (კვაჭაძე 1966, შანიძე 1980). აღნიშნულ აღწერით და ფორმალურ წესთა გათვალისწინებით, ავაგეთ საანალიზო მაგალითების სინტაქსურ ხეები, ასევე შევიმუშვეთ „მსაზღვრელთა გადანაცვლების ტესტი“ და „მაჯგუფებელი კავშირებით შეერთების ტესტი“.

მეტყველების ნაწილთა ყველა ძირითადი კატეგორია მოიცავს ქვეტიპებს ე.წ. ქვეკატეგორიებს. წარმომშობი გრამატიკის ფარგლებში კი დეტერმინანტების ქვეკატეგორიაში ერთიანდება არტიკლები, ჩვენებითი ნაცვალსახელები, კუთვნილებითი ნაცვალსახელები და კუთვლინების გამომხატველი ელემენტები, კითხვითი ნაცვალსახელები, გარკვეული და გაურკვეველი რიცხვითი სახელები და სხვ. (Carnie 2006, 44-45). ქართულ ტრადიციულ გრამატიკაში ატრიბუტული განსაზღვრებების კატეგორიაში ერთიანდებიან ზედსართავი სახელები და ე.წ. ზედსართავთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელები: ჩვენებითი ნაცვალსახელები, კუთვნილებითი ნაცვალსახელები, მიმართებითი ნაცვალსახელები, განსაზღვრებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები, გარკვეული და გაურკვეველი რიცხვითი სახელები, ზომა-წონის და საწყაოს აღმნიშვნელი სახელები (კვაჭაძე 1966, 158-163). კვლევამ აჩვენა, რომ ზედსართავი სახელები და მასთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელები სხვადასხვა სინტაქსური კატეგორიის ელემენტებია, ეს უკანასკნელი მოიცავს მსაზღვრელის ფუნქციით აღჭურვილ ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც თანამედროვე სინტაქსური თეორიის ფარგლებში მიჩნეულია დეტერმინანტთა ქვეკატეგორიებად.


არაერთგვარი მსაზღვრელები: სიტყვათა რიგი, პროექციის დონეები და სინტაქსური კატეგორიები (მსაზღვრელთა გადანაცვლების ტესტი) .სიტყვათა წყობა ქართულში, საზოგადოდ, თავისუფალია, მაგრამ გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა სიტყვის ადგილი მყარია [2:13]. შესაბამისად, სიტყვათა რიგის თვალსაზრისით, ქართულში გვაქვს გარკვეული შეზღუდვაც – სიტყვათა რამდენიმე მყარი წყობა გარკვეული შემთხვევებისთვის. საზღვრულ წევრს ერთდროულად შეიძლება ახლდეს რამდენიმე ერთგვარი და არაერთგვარი განსაზღვრება. ერთგვარია განსაზღვრებები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან საზღვრულ წევრს და ერთმანეთის მიმართ თანწყობილნი არიან. ლ. კვაჭაძე ატრიბუტული განსაზღვრებების ორ ჯგუფს – ზედსართავებს და მასთან ფუნქციურად გათანაბრებულ

სახელებით გადმოცემულ განსაზღვრებებს – არაერთგვარ წევრებად განიხილავს. ზედსართავებთან ფუნქციურად გათანაბრებული განსაზღვრებები, ჩვეულებრივ, პირველ ადგილზეა, ზედსართავითა და მიმღობით გადმოცემული განსაზღვრებები კი – მეორე ადგილზე. რაც მთავრია, პირველ ადგილზე, საზოგადოდ, ის განსაზღვრებაა, რომელიც განსაზღვრავს საზღვრულს უახლოეს განსაზღვრებიანად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არაერთგვარი განსაზღვრებების შემთხვევაში საზღვრულს უშუალოდ უახლოესი უკავშირდება, ყოველი წინა განსაზღვრება კი განსაზღვრავს მას მომდევნო განსაზღვრებიანად [2:169]. X' თეორიის ფარგლებში კი, თუ განსაზღვრებები ერთი კატეგორიისანი არიან და იზიარებენ პროექციის საერთო დონეს, მათი გადანაცვლება არ ქმნის არაგრამატიკულ შესიტყვებებს. თუ მათი გადანაცვლებით ხელოვნურ, ნამალადევ, ნაკლებ ბუნებრივ ან სრულიად მიუღებელ შესიტყვებებს მივიღებთ, სავარაუდოა, რომ ეს გამოწვეული იქნება სხვადასხვა სინტაქსური კატეგორიისა და პროექციის სხვადასხვა დონის მსაზღვრელთა იერარქიული სტრუქტურული კავშირის დარღვევით. სწორედ ამ ორი დებულების საფუძველზე შევიძუშავთ ე.წ. „მსაზღვრელების გადანაცვლების ტესტი“. გამოვარკვეით ზედსართავები და მათთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელები ერთგვარი თუ არაერთგვარი განსაზღვრებებია, ერთი სინტაქსური კატეგორიისაა თუ სხვადასხვა, იზიარებენ პროექციის საზიარო თუ სხვადასხვა დონეს.

აღნიშნული დებულებები X' სქემის სინტაქსური ხის მაგალითზე გაანალიზებამ თვალსაჩინო გახადა არაერთგვარი განსაზღვრებების იერარქიული სტრუქტურა, ამასთან, ტრადიციული გრამატიკის დებულებებისა და X' სქემის ურთიერთშესაბამისობა. მაგალითისათვის ავაგოთ ხე ოთხი არაერთგვარ განსაზღვრებიანი შესიტყვებისათვის:

[DP ოთხი ჩაფი წითელი ღვინო]

სინტაქსური ხე ცხადყოფს, რომ დეტერმინანტი (D) „ოთხი“ განსაზღვრავს დეტერმინანტს (D) „ჩაფი“, ორივე ერთად ქმნის დეტერმინანტულ ფრაზას (DP) „ოთხი ჩაფი“, რომელიც განსაზღვრავს სახელურ ფრაზას (NP) „წითელი ღვინო“, რომლის შემადგენლებიცაა ზედსართავი (AP) „წითელი“ და სახელი (N) „ღვინო“. ამ შემადგენელთა გადანაცვლებით კი არაგრამატიკულ წინადადებებს ვიღებთ: *წითელი ოთხი ჩაფი ღვინო. სინტაქსური ხე ცხადყოფს არაერთგვარ მსაზღვრელთა ისეთ იერარქიულ დამოკიდებულებას ერთმანეთისა და მსაზღვრელი სიტყვის მიმართ, როგორც ტრადიციულ გრამატიკაშია აღწერილი.



„არაერთგვარი განსაზღვრებების შემთხვევაში საზღვრულს უშუალოდ უახლოესი უკავშირდება, ყოველი წინა განსაზღვრება კი განსაზღვრავს მას მომდევნო განსაზღვრებიანად. პირველ ადგილზე, საზოგადოდ, ის განსაზღვრებაა, რომელიც განსაზღვრავს საზღვრულს უახლოეს განსაზღვრებიანად” [2:168-169]. თეორიული და პრაქტიკული (კორპუსულ მონაცემთა) სინტაქსური ხეებიც ცხადყოფს, რომ დეტერმინანტთა (D) საანალიზო ქვეკატეგორიებს სტრუქტურულად (იერარქიული თვალსაზრისით) უფრო მაღლამდგომი პოზიცია უკავია, ვიდრე – სახელებს (N). D კვანძი და NP კვანძი დები არიან – დეტერმინანტი (D) სიმეტრიულად მართავს სახელურ ფრაზას (NP) და ასიმეტრიულად მართავს NP-ის ყველა შემადგენელ ელემენტს. დეტერმინანტები დეტერმინანტული ფრაზის (DP) მეთაური ელემენტებია (D). სახელები (N) კი – სახელური ფრაზის (NP) მეთაური ელემენტები. სახელური ფრაზები (NP) დეტერმინანტული ფრაზის კომპლემენტის პოზიციაში დგანან.

ზედსართაული ფრაზები (AP) კი სახელური ფრაზების ადიუნქტის პოზიციაში. სინტაქსურ ხეზე მსაზღვრელთა იერარქიული გადანაწილებით გამოვლინდა, რომ ზედსართავეები და მასთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელები სხვადასხვა სინტაქსური კატეგორიისა და სხვადასხვა პროექციის დონის ელემენტებია. ადგილის სიმცირიდან გამომდინარე, ვერ ვახერხებთ სხვა გაანალიზებული კორპუსული მაგალითების მოხმობას, რაც ასეთივე ტენდენციას ავლენს. კორპუსული მაგალითების სინტაქსურმა ხეებმა და მსაზღვრელთა გადანაცვლების ტესტმა დაგვიდასტურა ჩვენი ვარაუდი, რომ ქართული და მეგრული ენის მასალა ერგება X' ჰიპოთეზის ფარგლებში შემუშავებულ დეტერმინანტული ფრაზის წესებს. ამასთან, ე.წ. ზედსართავთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელით გადმოცემული მსაზღვრელები X' სქემის ფარგლებში კვალიფიცირდება დეტერმინანტებად და სტრუქტურულად თავსდება D-ის (დეტერმინანტული მეთაური ელემენტის) პოზიციაში. კორპუსული მაგალითები იხ. ქვემოთ.

ერთგვარი მსაზღვრელები: თანაბარ დონეზე შეერთება, პროექციის დონეები და სინტაქსური კატეგორიები. მაჯგუფებელი კავშირებით შეერთების ტესტი

ტრადიციული გრამატიკის მიხედვით, ერთგვარია განსაზღვრებები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან საზღვრულ წევრს და ერთმანეთის თანწყობილნი არიან, ასეთი წევრები ქმნიან შერწყმულ წინადადებას [2:167]. ერთგვარი განსაზღვრებების ერთმანეთთან შეერთება შესაძლებელია მართებული კავშირით [2:256]. X' თეორიის ფორმალური წესების მიხედვით კი, ორი წევრის მართებული კავშირით (Conj) შეერთება შესაძლებელია, თუ ისინი ერთიანდებიან ერთ სინტაქსურ კატეგორიაში და თავსდებიან პროექციის საზიარო დონეზე. შესაბამისად, მაჯგუფებელი კავშირით შეერთებული წევრები უნდა ერთიანდებოდნენ საზიარო კატეგორიაში და იზიარებდნენ პროექციის საერთო დონეს. შესაბამისად, მართებული კავშირით შეერთებული წევრები უნდა ერთიანდებოდნენ საზიარო კატეგორიაში და იზიარებდნენ პროექციის საერთო დონეს. თუ ორ მსაზღვრელს ვერ ვაკავშირებთ მართებული კავშირით, მაშინ ისინი საზიარო პროექციის დონისა და ერთი კატეგორიის ელემენტებად ვერ ჩაითვლებიან. ტრადიციულ გრამატიკაშიც და წარმომშობ თეორიაშიც მართებული კავშირით შეერთებული თანწყობილი წევრები ქმნიან ერთ შემადგენელს.




მართებული კავშირით შეერთების ფორმალური წესები:

XP → XP conj XP

X' → X' conj X'

X → X conj X

X ცვლადია,



რომელიც ნებისმიერი კატეგორიის აღმნიშვნელი შეიძლება იყოს (N, A, V...). ამ წესის მიხედვით, მაჯგუფებელი კავშირით შეერთება შესაძლებელია მხოლოდ საერთო კატეგორიისა და საერთო პროექციის დონის ელემენტებისა. მათი შეერთება კი ქმნის ერთ შემადგენელს.

ტრადიციული გრამატიკისა და წარმომქმნელი გრამარიკის ზემოაღწერილი დებულებების საფუძველზე შევიმუშავეთ მაჯგუფებელი კავშირით შეერთების ტესტი, რომლის პირობაცაა: თუ ორ მსაზღვრელს ვერ ვაკავშირებთ მართებული კავშირით, მაშინ ისინი ვერ ჩაითვლებიან თანწყობილ, ერთგვარ განსაზღვრებებად, საზიარო პროექციის

დონისა და ერთი კატეგორიის სინტაქსური კატეგორიის ელემენტებად. ისევ და ისევ ადგილის სიმცირიდან გამომდინარე, დეტერმინანტთა ყველა სავარაუდო ქვეკატეგორიას აქვერ განვიხილავთ, მოვიყვანთ მხოლოდ თითო ქართულ და მეგრულ საანალიზო მაგალითს, რომლებიც შემოწმებულია მსაზღვრელთა გადანაცვლების ტესტისა და მაჯგუფებელი კავშირით შეერთების ტესტის საშუალებით.


კუთვნილებითი ნაცვალსახელები დეტერმინანტის სინტაქსური პოზიციითა და ფუნქციით:

- (1) ჩვენი მშვენიერი, ძვირფასი სტუმარი
- (2) ჩვენი ძვირფასი, მშვენიერი სტუმარი
- (3) * ჩვენი და მშვენიერი, ძვირფასი სტუმარი
- (4) ჩვენი მშვენიერი და ძვირფასი სტუმარი

[1].

- (5) ჩქინ ფშვენიერი, ძვირფასი სუმარი
- (6) ჩქინ ძვირფასი, ფშვენიერი სუმარი
- (7) *ჩქინ დო ფშვენიერი, ძვირფასი სუმარი
- (8) ჩქინ ფშვენიერი დო ძვირფასი სუმარი

1-2 და 5-6 მაგალითებში N' დონის პროექციის ზედსართაული ფრაზები (AP – ფშვენიერი, ძვირფასი) თავისუფლად ერთმანეთს, რაც ადიუნქტებისთვისაა თავისუფალი ჩანაცვლება იმის დასტურია, რომ თანწყობილია, აქვთ პროექციის საერთო დონე და ერთი კატეგორიისანი არიან. ამასვე მოწმობს მე-4 და მე-8 მაგალითები, როდესაც ამ მსაზღვრელების შეერთება მაჯგუფებელი კავშირებით სინტაქსურად გამართულ შესიტყვებებს ქმნის. მე-3 და მე-7 მაგალითებით კი დასტურდება, რომ ზედსართავთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელებისა (კუთვნილებითი ნაცვალსახელები) და ზედსართავი სახელების მაჯგუფებელი კავშირებით ერთ დონეზე შეერთება სინტაქსურად გაუმართავ შესიტყვებებს ქმნის.



მშვენიერი, ძვირფასი /
ენაცვლებიან
ნიმანდობლივი.
ეს მსაზღვრელები

კორპუსული მონაცემების ანალიზმა ცხადყო და დადასტურა ჩვენი ვარაუდი, რომ ე.წ. ზედსართავთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელები დეტერმინანტთა სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ. ისინი ზედსართაული მსაზღვრელებისაგან განცალკევებული სინტაქსური კატეგორიაა. ეს დასტურდება: (ა) სინტაქსურ ხეზე მათი იერარქიული და ასიმეტრიული განაწილებით (პროექციის სხვადასხვა დონეზე) (ბ) სიტყვათა მყარი რიგით – მათი გადანაცვლების შეუძლებლობით (გ) მაერთებელი კავშირით მათი შეერთების შეუძლებლობით.

გარდა ამისა, საანალიზო მაგალითების სინტაქსური ხეები იმის ილუსტრაციაა და იმის დადასტურების შესაძლებლობა მოგვცა, რომ X' თეორიის დეტერმინანტული ჰიპოთეზის ფარგლებში შემუშავებული დეტერმინანტული ფრაზის წყობის წესი ერგება ქართულისა და მეგრულის მასალას.

- DP → (DP)
- D' D' → (D) NP

ეს წესი ასახავს თანამედროვე ქართულისა და მეგრულისათვის ჩვეულებრივ, გაბატონებულ წყობას. ინვერსიული, ანუ შებრუნებული წყობა კი იშვიათად იხმარება, ისიც

მხოლოდ პოეზიაში. იშვიათ, პოსტპოზიციურ წყობასაც თუ ავსახავთ, სრული სახით ასეთ წესს მივიღებთ:

$DP \rightarrow D'(DP) \text{ ან } (DP) D'$

$D' \rightarrow (D) NP \text{ ან } D' \rightarrow NP (D)$

დასკვნა. ქართული ტრადიციული გრამატიკის აღწერითი წესებისა და წარმომშობი გრამატიკის ფორმალური წესების (და პრინციპების) შეჯერებით, ამასთან, ქართულისა და მეგრულის მაგალითების გაანალიზების საშუალებით დავასკვნით:

ა) X' სქემის დეტერმინანტული ჰიპოთეზის პრინციპები და დეტერმინანტული ფრაზის წყობის ფორმალური წესები ესადაგება ქართულისა და მეგრულის მასალას;

ბ) ზედსართავები და მასთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელები თავსდებიან სხვადასხვა სინტაქსური კატეგორიაში (A და D). ზედსართავ სახელებთან ფუნქციურად გათანაბრებული სახელები დეტერმინანტის (D) სინტაქსურ კატეგორიაში თავსდებიან;

გ) ქართულსა და მეგრულში დეტერმინანტების (D), ზედსართავი სახელებისა (A) და სახელების (N) სინტაქსური წყობა (მეტწილად) მყარია, მათ შორის იერარქიული მიმართებები კი ასიმეტრიულია.

ლიტერატურა:

- 1.დობორჯგინიძე, ნ., ლობჟანიძე, ი., გუნია, ი. 2012-2022. ქართული ენის კორპუსი. <http://corpora.iliauni.edu.ge/>. ბოლო წვდომის თარიღი: 07/02/22 .
- 2.კვაჭაძე, ლეო. (1966): თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. განათლება. თბილისი.
- 3.მოერერი, პ., გიპერტი, ი., თანდაშვილი, მ., 2011-2022. ქართული ენის ეროვნული კორპუსი. <http://gnc.gov.ge/>. ბოლო წვდომის თარიღი: 07/02/22.
- 4.შანიძე, აკაკი. (1953): მორფოლოგია. ტ.1, ქართული გრამატიკის საფუძვლები. მე-2 შევს. გამოც. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
- 4.Carnie, Andrew. (2006): Syntax: A Generative Introduction. 2nd ed. Malden: Blackwell.
- 5.Chomsky, Noam. (2006): Language and Mind. Cambridge University Press. Cambridge, U.K.
- 6.Lasnik, Howard, and Terje Lohndal. (2009): Government–Binding/Principles and Parameters

Tamar Gogia
Ilia State University
Tbilisi, Georgia

Scheme and projection of Georgian and Mingrelian determinative phrase X'

Abstract

Generative grammar is one of the leading syntactic theories today which aims to describe the universal principles of language and explain how all languages are generated from a set of basic rules and principles. It is a natural language processing mechanism that models languages based on formal grammatical rules. This paper is built upon our research which seeks to adapt the theory and procedures of the formal universal grammar to the Georgian and Mingrelian languages. The theoretical and methodological basis of the research is the X' theory, more specifically, the determiner phrase hypothesis, on the one hand, and corresponding material from the Georgian traditional grammar, on

the other. The objective of the paper is to: (1) identify determiners in Georgian and Mingrelian; (2) define intermediate constituents of the determiner phrase and three levels of projections of the determiner phrase (DP). (3) define formal rules of the DP for Georgian and Mingrelian.